საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია

Georgian Physicians Postgraduate Association

# II პოლიპროფილური სამედიცინო კონფერენცია

# კლინიკური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები

# პროგრამა

ჩაქვი-2013

13–21 ივლისი

www.postdiplom.ge

საფგა * GPPA * AD INFINITUM *

## გენერალური სპონსორი

SANDOZ
a Novartis company

## ოქროს სპონსორი

გია გვაჰამიას
კლინიკა

თქვენი ოცნება
ფორმას იძენს!

## ვერცხლის სპონსორები

AVita

BERLIN-CHEMIE
MENARINI

SHTUTTGART
LABORATORY

BIOCON

JURABEK
Laboratories Ltd

## ბრინჯაოს სპონსორები

SANOFI

კამელინი
CAMELYN

LTD Kavita
Medical and optical goods

EUROMEDEX

Pierre Fabre
MEDICAMENT

HB GEORGIA

## საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია

**"საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაცია"** დაარსდა 2012 წლის სექტემბერში. მასში გაერთიანებულები არიან საქართველოს სხვადასხვა სპეციალობის წამყვანი ექიმები

ასოციაციის პრეზიდენტია **პროფ. ალექსანდრე (დავით) თელია;**
ვიცე-პრეზიდენტი - **პროფ. გურამ დავითაია**.

**ასოციაციის საქმიანობის მიზნებია:**

- საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ხელშეწყობა;
  - მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული პოსტდიპლომური სამედიცინო განათლების წარმოება;
  - ექიმთა ზოგადი კომპეტენციის, მათი პრაქტიკული უნარების ამაღლება;
  - პაციენტების მომსახურების ხარისხის გაზრდა;
  - ანალოგიური მიზნების მქონე ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან სხვადასხვა სახის თანამშრომლობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
  - ექიმებისა და პაციენტებისთვის სასურველი ინტელექტუალური ინფორმაციებისა და რესურსების მიწოდება;
  - ჯანდაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება;
  - ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა უცხოეთის წამყვან კლინიკებსა და სამედიცინო ცენტრებში.
  - უცხოეთის წამყვანი კლინიკებიდან და სამედიცინო ცენტრებიდან საგანმანათლებლო და პრაქტიკული საქმიანობის მიზნით ექსპერტებისა და სპეციალისტების ჩამოყვანა;
  - საგანმანათლებლო პროცესში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისა და შესაბამისი საინფორმაციო რესურსების ჩართვის ხელშეწყობა.
- ჯანდაცვის და სამედიცინო განათლების სფეროში საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
- ექიმთა და პაციენტთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ანალოგიური მიზნების მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- საგამომცემლო საქმიანობა (პოლიგრაფიული და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით);
- საქართველოსა და უცხოეთში სამედიცინო სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა, მათი ორგანიზება და ხელშეწყობა.
- ექიმთა პოსტდიპლომური განათლების პროცესის მატერიალური და ფინანსური ხელშეწყობა და მათში მონაწილე პირებისთვის დახმარების აღმოჩენა;
- ექიმთა ლიცენზირებისა და სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობის მიღება სახელმწიფო ან კერძო დაკვეთის შემთხვევაში;
- პოსტდიპლომური განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის აუდიტის განხორციელება ან მასში მონაწილეობა სახელმწიფო ან კერძო დაკვეთის შემთხვევაში;
- ასოციაციაში გაწევრიანებული უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა საექსპერტო საქმიანობის ხელშეწყობა და ორგანიზება სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით.
- ასოციაციის სახელობითი სტიპენდიის დაარსება და პროფესიული საქმიანობის წახალისება.

**ჩვენს ასოციაციაში გაწევრიანება გაძლევთ 5 ძირითად სარგებელს:**

- **ინფორმირება** (ასოციაციის საინფორმაციო ბაზასთან წვდომა პროფესიული ინფორმაციის მოპოვების მიზნით. თქვენი პერსონალური ინფორმირება ასოციაციის საქმიანობის და მის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ)
- **პროფესიული მხარდაჭერა** (ჯანდაცვის და სამედიცინო განათლების სისტემაში ჩართულ სხვადასხვა ორგანიზაციებთან თქვენი ურთიერთობის მხარდაჭერა და რეგულირება)
- **საზოგადოებასთან ურთიერთობა** (საზოგადოებასთან ურთიერთობის და თქვენი პროფესიული უფლებების დაცვის ხელშეწყობა)
- **პროფესიული შესაძლებლობების გაფართოვება** (თქვენი პროფესიული პერსპექტივების რეალიზების ხელშეწყობა)
- **პროფესიული განვითარება** (თქვენი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა)

ასოციაციაში გაწევრიანების სურვილის შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ ასოციაციას მისამართზე: **თბილისი, ქავთარაძის 16, DKC, შ.პ.ს. „დეკა" (ყოფილი „სამკურნალო კომბინატი"), ოთახი 322 ან 313, 10 სთ-დან 17 სთ-მდე** ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: **info@postdiplom.ge**

www.postdiplom.ge
www.facebook.com/postdiplom.ge
info@postdiplom.ge